სახელმძღვანელოები

2024

მოკლე სახელმძღვანელო ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის შემთხვევებზე რეაგირებისათვის

მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის

ავტორი

ანა არგანაშვილი

ეს სახელმძღვანელო მოამზადა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“, ევროპის საბჭოს პროექტის - „ბავშვის ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის აღკვეთა@ევროპა პლუსი“ - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია Safe Online-ის მიერ.

ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ავტორის პასუხისმგებლობაა და არ ხდება ევროპის საბჭოს ოფიციალური პოლიტიკის ზუსტად ასახვა ან Safe Online.

Safe Online არის ერთადერთი გლობალური საინვესტიციო მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების დაცვას ციფრულ სამყაროში. ინოვაციებში ინვესტირებისა და მნიშვნელოვანი მონაწილეების შეკრებით, Safe Online ხელს უწყობს ციფრული გარემოს შექმნას, რომელიც უსაფრთხო და შესაძლებლობების მიმცემი იქნება ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისთვის, ყველგან. გაიგეთ მეტი: https://safeonline.global/

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში. www.coe.int/

სარჩევი

შესავალი *4*

რატომ ვსაუბრობთ ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობასა და ექსპლუატაცია ზე *5*

მითები და რეალობა ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობაზე **7**

რას ნიშნავს ბავშვზე სექსუალური ძალადობა, სექსუალური ექსპლუატაცია და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია **9**

ტერმინები და ცნებები: 9

საკანონმდებლო ჩარჩო *10*

ლანზაროტის კონვენცია **11**

ბუდაპეშტის კონვენცია **15**

პრაქტიკული რეკომენდაციები უფროსებისთვის *16*

ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან და ექსპლუატაციისგან დაცვის პრაქტიკული განხორციელება, მათ შორის, ონლაინ სივრცეში. **17**

როგორ მოვახდინოთ პრევენცია: 18

რა გავლენას ახდენს ბავშვზე სექსუალური ექსპლუატაცია: 18

რა გავლენას ახდენს ბავშვზე ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია 19

ბავშვზე სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობა 20

ბავშვზე სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობა სამედიცინო მუშაკების მიერ 20

რისკ -ფაქტორები და მოწყვლადობა 22

სექსუალური მოძალადეები და სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩართული პირები: 22

სისტემური რეაგირება 27

ბავშვთა უფლებები ონლაინ სივრცეში *31*

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის დადგენილი სტანდარტი ბავშვთა უფლებებზე ციფრულ სივრცეში (ზოგადი კომენტარი 25) **31**

კანონმდებლობა 32

ყოვლისმომცველი პოლიტიკა და სტრატეგია 32

კოორდინაცია 32

ბიუჯეტის განსაზღვრა და გამოყოფა 32

მონაცემთა შეგროვება და კვლევა 33

დამოუკიდებელი მონიტორინგი 33

ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი: 33

სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა 34

კერძო სექტორი ბავშვთა უფლებების დასაცავად 34
კომერციული რეკლამა და მარკეტინგი 35
მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა და ბავშვების უფლებების დაცვის საშუალებები 35
ინტერნეტის მისაწვდომობა 37
ბავშვების გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლება 38
ბავშვების თამაშის, შეკრების და გაერთიანების უფლება 38
პირადი ცხოვრება და მონაცემთა დაცვა 39
განათლების უფლება 40
ძალადობისგან დაცვა და უსაფრთხოება 41
უფლების დაცვის მექანიზმების შექმნა 42

შესავალი

ეს პუბლიკაცია განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აღელვებთ ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობა და ეძებენ გზებს ბავშვების დასახმარებლად. ვინაიდან ტექნოლოგიური სამყარო ძალიან სწრაფად ვითარდება, პროფესიული ლიტერატურა ხშირად ვერ ასწრებს იმ საფრთხეების ანალიზს, რომელიც ბავშვებს, უფროსების მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, ციფრულ რეალობაში ემუქრებათ. ასეთ დროს, ჩვენ, პრაქტიკოსები ვცდილობთ ამ სიცარიელის შევსებას და მკითხველისთვის ჩვენი პრაქტიკული ცოდნის გაზიარებას. თუმცა, ეს და მსგავსი პუბლიკაციები ვერ ჩაანაცვლებს იმ სამეცნიერო და აკადემიურ კვლევებს, რომელიც ამ დარგში პარალელურად მუშავდება.

ეს პუბლიკაცია ორიენტირებულია იმაზე რომ მშობლებს, მასწავლებლებს, ექიმებს და ყველა იმ პირს, ვისაც შეხება აქვს ბავშვებთან გაუადვილოს ონლაინ საფრთხეების გამოვლენა; არ გამორჩეთ ბავშვების ქცევა, რომელიც სირთულეებზე მიანიშნებს; დროულად მიმართონ იმ უწყებებს და სპეციალისტებს, რომლებსაც ევალებათ ბავშვთა დაცვა ონლაინ სექსუალური ძალადობისგან და, რაც მთავარია, დაეხმარონ ბავშვებს საკუთარი უფლებების დაცვაში.

პუბლიკაცია გაყოფილია ორ ნაწილად: პირველი ნაწილი ეხება ონლაინ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის კლასიფიკაციას, საკანონმდებლო ჩარჩოს, მისი იდენტიფიცირების და მასზე რეაგირების შესაძლებლობას, ასევე ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას, მათთვის დროული დახმარების გაწევის მიზნით.

ხოლო მეორე ნაწილი ეხება გლობალურად ბავშვთა უფლებებს ციფრულ სამყაროში. იმის ახსნა, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ვირტუალური სივრცე, დაგვეხმარება მოვახდინოთ ონლაინ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის პრევენცია. იქ სადაც ბავშვთა უფლებები ძლიერად არის დაცული და ბავშვები ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ, მათ მიმართ ძალადობის ნაკლები შესაძლებლობა არსებობს.

ეს პუბლიკაცია ონლაინ სივრცეში ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლების მხოლოდ საწყისი მცდელობაა და მკითხველებს მოუწოდებს, მეტად დაინტერესდნენ ამ საკითხით, გაეცნონ უფრო ვრცელ და პროფესიულ პუბლიკაციებს ამავე თემაზე.

რატომ ვსაუბრობთ ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობასა და ექსპლუატაციაზე

დღეს ინტერნეტი და ციფრული სივრცე ბავშვების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ონლაინ სივრცეში არსებული ინფორმაცია და შესაძლებლობები ბავშვების განვითარების, განათლების და სოციალური კავშირების შემადგენელი კომპონენტია. ამავე დროს, ონლაინ სივრცე ბავშვებისათვის ბევრ საფრთხეს მალავს. ამ საფრთხეებთან გამკლავების ეფექტური გზა არა ონლაინ სივრცის აკრძალვა, არამედ - ინტერნეტთან ურთიერთობისას გარკვეული წესების შემოღებაა. ამ წესების დამცველი კი ის პროფესიონალები არიან, ვისაც ბავშვებთან პროფესიული ვალდებულებები აკავშირებთ.

ტექნოლოგიურ განვითარებაში თაობათა შორის სხვაობა ხშირად შესამჩნევია. ხშირად თაობები და, განსაკუთრებით, ბავშვები ზრდასრულებზე სწრაფად ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს და, შეიძლება სწორედ ამიტომ, ან იმიტომ, რომ ზრდასრულები ვერ ვეწევით განვითარებას, ბავშვები მარტო რჩებიან ინტერნეტის სივრცეში არსებულ საფრთხეებთან. რაც უფრო დიდ ხანს ვაყოვნებთ უფროსები ტექნოლოგიებთან დაწევას, მით უფრო დიდი საფრთხეების წინაშე არიან ბავშვები ჩვენი მხარდაჭერის გარეშე.

ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა. ხშირად საფრთხის მასშტაბი უცნობია ჩვენთვის.

დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით (NCMEC – National Center for Missing and Explited Children - აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია), 2019 წლიდან 2023 წლამდე ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობა 87%-ით გაიზარდა. ხოლო სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით ბავშვების 20% ხდება ონლაინ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი[1]. 2023 წლის მონაცემებით გვაქვს ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობის ფართოდ გავრცელებული და შედარებით ახალი ფორმები[2]:

---

[1] We Protect, Global Aliance, Analysis of the sexual threats children face online. (ბოლოჯერ ნანახი:) https://www.weprotect.org/global-threat-assessment-23/analysis-sexual-threats-children-face-online/

[2] იგივე.

გრუმინგი (ონლაინ სექსუალური მოძალადის მიერ ბავშვის დაყოლიება შეხვედრის ან სექსუალური მასალის შექმნის მიზნით), რომელიც 2019 წლიდან 4 წლის განმავლობაში 80%-ით არის გახშირებული.

ამიტომ, დროა უახლესი ინფორმაცია მივიღოთ, პირველ რიგში იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ონლაინ სექსუალური ძალადობა. ამისათვის საჭიროა შევთანხმდეთ ძირითად ცნებებზე[3]:

თვით-გენერირებული სექსუალური შინაარსის მასალა - ამგვარი მასალა, როგორც წესი, თავად მოზარდის მიერ არის შექმნილი. თუმცა ზიანი მაშინ დგება, როდესაც ეს მასალა მისი თანხმობის გარეშე ზიარდება ან ვრცელდება.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის ლაივსტრიმინგი - ანუ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ონლაინ პირდაპირ რეჟიმში ჩვენება. ბევრ ქვეყანაში ეს ქცევა არაა კრიმინალიზებული მიუხედავად იმისა, რომ ის ბავშვზე ონლაინ სექსუალური ძალადობის ფორმაა.

ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის მასალაზე წვდომა, ნახვა და გაზიარება: მოძალადეები იყენებენ მრავალფეროვან გზებს ამ მასალის გასაზიარებლად, მათ შორის ინტერნეტ ბმულებს ან მოდიფიცირებულ ინტერნეტ მისამართებს, რათა ამ მასალის აღმოჩენა სამართალდამცავებისთვის რთული იყოს.

ფინანსური და სექსუალური გამოძალვა: მოძალადეები, შეცვლილი იდენტობით და ასაკის გაყალბებით, უკავშირდებიან თინეიჯერებს სოციალური მედიის საშუალებით; აწვდიან მათ ყალბ სექსუალური შინაარსის ფოტოებს და მათგან საპასუხოდ ითხოვენ სექსუალური შინაარსის მასალას, რომელსაც შემდგომ მათთვის ფულის გამოძალვის მიზნით იყენებენ.

ხელოვნული ინტელექტის (AI - Artificial Intelligence) მიერ გენერირებული სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა: სექსუალური შინაარსის მასალა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით არის შექმნილი, წარმოადგენს ონლაინ სექსუალური ძალადობის სულ უფრო ხშირ ფორმას, რომელსაც მოძალადეები სამიზნე ბავშვებთან ურთიერთობისას იყენებენ.

---

[3]We Protect, Global Aliance, Analysis of the sexual threats children face online, Defining child sexual exploitation online https://www.weprotect.org/issue/

თუმცა ონლაინ ძალადობის ეს ფორმები წლიდან წლამდე სახეს იცვლის და საჭიროებს სამართალდამცავების და სხვა პროფესიონალების აქტიურ ყურადღებას მათზე რეაგირების მიზნით.

მითები და რეალობა ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობაზე[4]

არსებობს ფართოდ გავრცელებული მითები და სტერეოტიპული შეხედულებები, რომელიც ხელს უშლის პროფესიონალებს და მშობლებს, ჰქონდეთ დროული და ადეკვატური პასუხი ონლაინ სექსუალურ ძალადობაზე ბავშვების მიმართ. ამ მითების არსებობა ხშირად ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება. მოკლედ მიმოვიხილოთ ყველაზე ხშირად გავრცელებული ცრუ მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით:

ბავშვებზე ონლაინ სექსუალური მოძალადეები ბავშვებისთვის უცნობი ადამიანები არიან	ონლაინ სექსუალური მოძალადე შესაძლებელია ბავშვისთვის ნაცნობი ადამიანი, მათ შორის, ნათესავი ან ოჯახის მეგობარი იყოს.
ჩემი შვილი ჯერ კიდევ დაწყებით კლასშია, ამიტომ ონლაინ სექსუალური ძალადობა მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს	ონლაინ სექსუალური ძალადობა ბავშვის მიმართ შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ასაკში
ონლაინ სექსუალური ძალადობა მხოლოდ გოგო ბავშვებზე ვრცელდება	ნებისმიერი 18 წლამდე ადამიანი (როგორც გოგო, ასევე ბიჭი) შესაძლოა გახდეს ონლაინ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი
ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობა არ ხდება საქართველოში	ბავშვთა მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობა ხშირად ხდება საქართველოშიც
შობლის კონტროლი და კომპიუტერის კონფიგურაციის შეცვლა საკმარისია	ონლაინ სექსუალური ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მრავალმხრივი სტრატეგია უნდა გამოვიყენოთ, მათ

[4] Australian Centre to Counter Child Exploitation, Common misconceptions of online child sexual exploitation, https://accce.gov.au/misconceptions

ბავშვის დასაცავად ონლაინ სექსუალური ძალადობისგან	შორის ბავშვთან ღია და გულწრფელი საუბარი
ბავშვების თამაშები კომპიუტერულ ტექნიკაში ყოველთვის უსაფრთხოა	ნებისმიერი თამაში, ან ონლაინ გვერდი, აპლიკაცია თუ პლატფორმა, რომელსაც აქვს ჩათის (მესიჯის) ფუნქცია, შეიძლება გამოიყენოს ონლაინ სექსუალურმა მოძალადემ ბავშვთან კომუნიკაციის დასამყარებლად და მასზე ძალადობისთვის
ონლაინ ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის მხოლოდ თვალიერება არავის აყენებს ზიანს	ამგვარი მასალის თვალიერება წარმოადგენს ერთ რგოლს მსხვერპლებზე სექსუალური ძალადობის ჯაჭვში და ქმნის მოთხოვნას მეტი მსგავსი მასალის შესაქმნელად
ონლაინ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის საკითხი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ბავშვთა უსაფრთხოებისათვის, როგორც რეალურ ცხოვრებაში ბავშვების დაცვა	ბავშვების მიმართ ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციას აქვს მძიმე შედეგები რეალურ ცხოვრებაში
ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ პატარა სოფლებსა და დაბებში და იზოლირებულნი არიან დიდი ქალაქებისგან, უფრო უსაფრთხოდ არიან მოძალადეებისგან.	ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლები ყველა ტიპის დასახლებაში გვხვდება.
საკმარისი დრო მექნება იმისათვის, რომ შევამჩნიო, თუ ვინმე ჩემი შვილის დაყოლიებას შეეცდება შეხვედრაზე სექსუალური ურთიერთობის დამყარების მიზნით ონლაინ მედიის გამოყენებით.	მხოლოდ რამდენიმე წუთი შეიძლება დასჭირდეს სექსუალურ მოძალადეს, ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად და "მეგობრობის" დასაწყებად, პოტენციურ მსხვერპლთან
ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა ჩემს შვილს არ ემუქრება.	ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა შესაძლოა ნებისმიერ 18 წლამდე ადამიანს (ბავშვს) შეემთხვეს და მოძალადეები გამოირჩევიან მათი

	მოწყვლადობის გამოყენების უნარებით.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახელმწიფო სტრუქტურებმა, ისე სამოქალაქო საზოგადოებამ, რეგულარულად მიაწოდოს მოსახლეობას სწორი ინფორმაცია ბავშვთა ონლაინ სექსუალური ძალადობის თემაზე, რათა მოხდეს არასწორი მოსაზრებების ცვლილება სწორი ინფორმაციით.

რას ნიშნავს ბავშვზე სექსუალური ძალადობა, სექსუალური ექსპლუატაცია და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია

ტერმინები და ცნებები:

იმისათვის რომ შევძლოთ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის ყველა ფორმის გააზრება, დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებების სწორად გაგებას და გამოყენებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წყაროა **ბავშვთა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის ტერმინოლოგიური სახელმძღვანელო, რომელსაც ლუქსემბურგის სახელმძღვანელოსა**[5] უწოდებენ. სახელმძღვანელო 2016 წელს სააგენტოთაშორისო სამუშაო ჯგუფის მიერ გაეროს სხვადასხვა მექანიზმის, ექსპერტების, გაეროს ბავშვთა ფონდის, ინტერპოლის წარმომადგენლებსა და სხვა ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ ეს სახელმძღვანელო აჯამებს დღემდე არსებულ ყველა დოკუმენტს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ და ტერმინების ამომწურავ განსაზღვრებას გვთავაზობს. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა: ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება, როდესაც ბავშვს არ მიუღწევია სექსუალური თანხმობის ასაკისათვის ან, როდესაც მოძალადე იყენებს იძულებას, ძალას, მუქარას ან ნდობას, ზეგავლენას ან უპირატეს პოზიციას, მათ შორის ოჯახურ გარემოში (ლანზაროტის კონვენცია). ბავშვის ჩართვა ისეთ სექსუალურ აქტივობაში, რომელსაც ბავშვი სრულად ვერ აცნობიერებს, არ შეუძლია მისცეს ინფორმირებული თანხმობა და რომლისთვისაც

[5] Luxembourg Guidelines, Interagency Working Group on Sexual Exploitation of Children, https://ecpat.org/luxembourg-guidelines/

ბავშვი არ არის განვითარების ეტაპის მიხედვით მზად და რომელიც არღვევს კანონს და საზოგადოებრივ ნორმას (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია).

არაკონტაქტური სექსუალური ძალადობა: როდესაც ბავშვზე სექსუალური ძალადობა ხდება ინტერნეტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით და მოძალადე ბავშვს აიძულებს სხვადასხვა საგნის თუ საშუალების გზით, საკუთარ თავზე განახორციელოს სექსუალური შინაარსის ქცევა. ბავშვზე არაკონტაქტური სექსუალური ძალადობის კიდევ ერთი სახეა სექსუალური შევიწროება, როდესაც სიტყვების გამოყენებით ანუ ვერბალურად ხორციელდება სექსუალური ძალადობა.

სექსუალური ექსპლუატაცია: წარმოადგენს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ფორმას, რომელიც მოითხოვს გარკვეული მატერიალური ან სხვა სახის მოგების ელემენტის არსებობას (მაგ. აღებული თანხა), მაშინ, როდესაც სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მოძალადის მიზანი მხოლოდ სექსუალური დაკმაყოფილების მიღებაა. სექსუალური ექსპლუატაციის ფორმებია ბავშვთა პროსტიტუციაში ჩართვა, მისით სარგებლობა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, ამ მასალის ნახვა, დამზადება, გავრცელება ა.შ.

ონლაინ სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია: წარმოადგენს სექსუალური ძალადობის ყველა ფორმას (ექსპლუატაცია, შევიწროება, გარყვნა, გრუმინგი/დაყოლიება ა.შ.), რომელიც ხორციელდება ციფრულ სივრცეში. ონლაინ სექსუალურ ძალადობას შესაძლოა ასევე ჰქონდეს ფოტო, ვიდეო და აუდიო ფორმაც, როდესაც ხდება ძალადობის ჩაწერა და ონლაინ გავრცელება ან ატვირთვა. ონლაინ ექსპლუატაციას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე:

- სექსუალური ექსპლუატაციის განხორციელება როდესაც მსხვერპლი ონლაინაა (მუქარის ან მანიპულაციის საფუძველზე სექსუალური ქმედების განხორციელება ვებ-კამერის წინაშე).
- ბავშვების დაყოლიება ანუ გრუმინგი, მომავალში მათთან შეხვედრის და მათზე სექსუალური ძალადობის ან ექპლუატაციის მიზნით.
- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მასალის მოპოვება, გავრცელება, შეთავაზება, გაყიდვა და სხვა.

საკანონმდებლო ჩარჩო

იმისათვის, რომ ბავშვთან მომუშავე პირებმა მართლმსაჯულების განხორციელების და ხელშეწყობის მიზნით შეძლონ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის, მათ შორის, ონლაინ სივრცეში გამოვლენა, საჭიროა ინფორმირებული ვიყოთ საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ.

დღეს-დღეობით არსებობს ორი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის (მათ შორის ონლაინ ფორმით) შემთხვევაში რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს. ყველა პროფესიონალისთვის, რომელიც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხზე მუშაობს, ეს ორი დოკუმენტი კარგად ნაცნობი და სამუშაო ინსტრუმენტი უნდა იყოს. ეს დოკუმენტებია "ევროსაბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ" [6] ანუ **ლანზაროტის კონვენცია** და "კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ" [7] ანუ **ბუდაპეშტის კონვენცია.** მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული:

ლანზაროტის კონვენცია

ლანზაროტის კონვენცია ევროპის საბჭომ 2007 წელს მიიღო და მას საქართველო 2015 წელს შეუერთდა. ლანზაროტის კონვენცია დღემდე არსებული ყველაზე სრულფასოვანი დოკუმენტია, რომელიც ებრძვის ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას და სექსუალურ ექსპლუატაციას, მათ შორის, ონლაინ ფორმით. პროფესიონალებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ კონვენციის განმარტებითი ბარათი [8] , რომელიც დეტალურად ხსნის კონვენციით სახელმწიფოსთვის დაწესებულ ვალდებულებებს. განვიხილოთ ეს ვალდებულებები მოკლედ:

- სახელმწიფო ვალდებულია გადაამზადოს და შესაბამისი ცოდნა მისცეს ყველა პროფესიონალს, რომელიც მუშაობს ბავშვთა დაცვის სფეროში, სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის დანაშაულთან მიმართებაში (მუხლი 5).

---

[6] ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2684715?publication=0

[7] კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, https://rm.coe.int/16802fa423

[8] Explanatory Report to the Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse, Lanzarote, 25.10.2007: https://rm.coe.int/16800d3832

- სახელმწიფო ვალდებულია ბავშვები უზრუნველყოს განათლებით და ინფორმაციის მიღებით სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის შესახებ, ასევე საკუთარი თავის დაცვის საშუალებების შესახებ, მათი განვითარების დონის შესაბამისად (მუხლი 6).
- სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს პრევენციული ზომები და პროგრამები ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის მიზნით (მუხლი 7).
- სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია და ჩაატაროს კამპანია ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის მიზნით (მუხლი 8).
- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვების მონაწილეობა სახელმწიფო სტრატეგიის, პროგრამების და ინიციატივების შემუშავებაში, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. ასევე, ხელი შეუწყოს კერძო სექტორს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სექტორს, ტურიზმის სექტორს, საბანკო და საფინანსო სექტორებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას, რათა ჩაერთონ ამ სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში (მუხლი 9).
- სახელმწიფო ვალდებულია ჰქონდეს კოორდინაციის და თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები ბავშვების დასაცავად სექსუალური ძალადობისგან (მუხლი 10).
- სახელმწიფო ვალდებულია დანერგოს საკონსულტაციო მომსახურება ბავშვებისათვის (მუხლი 13).
- სახელმწიფო ვალდებულია მსხვერპლებს გაუწიოს დახმარება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით (მუხლი 14).
- სახელმწიფო ვალდებულია ეფექტურად და სწრაფად გამოიძიოს, განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა და მიუსაჯოს სასჯელი სექსუალურ ძალადობაში ჩართულ პირებს (მუხლი 29-36).

გარდა ამისა, ლანზაროტის კონვენცია ამომწურავად განსაზღვრავს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმას. სწორედ ეს დეფინიციები არის გადამწყვეტი სახელმწიფოს მიერ ამ დანაშაულების კრიმინალიზების, გამოძიებისა და დასჯისთვის. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა უნდა მოვიდეს ჰარმონიაში აღნიშნულ დეფინიციებთან. მიმოვიხილოთ სამართლებრივი დეფინიციები:

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა (მუხლი 18):

ა) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, თუ მას ეროვნული კანონმდებლობის თანახმად არ მიუღწევია ამგვარი ურთიერთობისთვის დაშვებული ასაკისთვის.

ბ) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომლის დროსაც:

- გამოიყენება იძულება, ძალა ან დაშინება ან,
- ძალადობას ახორციელებს ნდობით აღჭურვილი ნაცნობი, ავტორიტეტული პირი ან ადამიანი, რომელსაც ბავშვზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ოჯახის წევრების ჩათვლით.
- ძალადობა ხორციელდება იმ ბავშვებზე, რომლებიც განსაკუთრებულად უმწეონი არიან ფსიქიკური თუ ფიზიკური შეზღუდვის გამო ან, სხვაზე დამოკიდებულების გამო.

ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებული დანაშაული (მუხლი 19):

წარმოადგენს ბავშვთა ექსპლუატაციის ფორმას, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის სექსუალური ურთიერთობისთვის გამოყენების ფაქტთან, როცა ამის სანაცვლოდ იძლევიან ან ჰპირდებიან ფულს ან ანაზღაურების სხვა ფორმას, და შეიძლება ვლინდებოდეს:

- ბავშვების დაქირავებით პროსტიტუციის მიზნით.
- ბავშვების იძულებას ჩაერთოს პროსტიტუციაში ან, ამ გზით მოგების მიღება.
- ბავშვის პროსტიტუციით სარგებლობა.

ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები (მუხლი 20):

წარმოადგენს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ბავშვთა ამსახველ პორნოგრაფიულ **მასალასთან** არის დაკავშირებული, იგი შეიძლება იყოს როგორც რეალური, ისე დადგმული სცენა, ან ბავშვის ინტიმური ორგანოს ნებისმიერი გამოსახულების გამოყენება ამ მიზნით, მათ შორის:

- ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება.
- ბავშვის პორნოგრაფიის შეთავაზება ან ხელმისაწვდომობაში დახმარება.
- ბავშვის პორნოგრაფიის გავრცელება ან გადაცემა.
- ბავშვის პორნოგრაფიის წარმოება როგორც საკუთარი, ისე სხვათა სარგებლობისთვის.
- ბავშვის პორნოგრაფიის ფლობა (ქონა).
- ბავშვის პორნოგრაფიული მასალის შეგნებულად მოპოვება საინფორმაციო თუ ტექნოლოგიური გზით.

ბავშვის პორნოგრაფიულ წარმოდგენაში (აქტი, ქცევა, გამოსახულება) მონაწილეობის დანაშაული (მუხლი 21):

წარმოადგენს შემდეგ ქმედებებს, რომელიც უშუალოდ ბავშვების მონაწილეობასთან არის დაკავშირებული, მათ შორის:

- ბავშვის დაყოლიება პორნოგრაფიულ გამოსახულებაში მონაწილეობაზე ან ამგვარ ქცევაში ბავშვის მონაწილეობის გამოწვევა.
- ბავშვის იძულება პორნოგრაფიულ აქტში მონაწილეობაზე ან ამით სარგებლის მიღება ან ბავშვის სხვაგვარი ექსპლუატაცია ან ბავშვის ექსპლუატაცია მსგავსი მიზნებისთვის.
- ბავშვის მონაწილეობით შესრულებულ პორნოგრაფიულ წარმოდგენაზე დასწრება.

ბავშვის გარყვნა (მუხლი 22):

გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც ბავშვს რთავს გარყვნილ ქმედებაში, მაგ. აიძულებს უყუროს სექსუალური ძალადობის აქტს ან სხვა სექსუალურ ქმედებას, ან ამგვარ აქტს ახორციელებენ ბავშვის თანდასწრებით. ბავშვის გარყვნილ ქმედებაში ჩართვას შეუძლია ბავშვისთვის მენტალური ზიანის გამოწვევა და ნეგატიური კვალის დატოვება მის პიროვნებასა და სოციალურ ურთიერთობებზე. ეს დანაშაული ეხება ბავშვს, რომელსაც არ მიუღწევია სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის მიცემის ასაკისთვის, თუნდაც იგი თავად არ მონაწილეობდეს ამგვარ აქტში (და მხოლოდ უყურებდეს).

ბავშვის დაყოლიება სექსუალური მიზნებისთვის ანუ გრუმინგი (მუხლი 23):

გულისხმობს ისეთ დანაშაულს, რა დროსაც, დამნაშავე უმეტესად კომპიუტერის ან სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გზით (მაგ. ტელეფონი) ბავშვს, რომელსაც არ მიუღწევია სქესობრივ ურთიერთობაზე თანხმობის ასაკისთვის, სთავაზობს შეხვედრას და ეს შეხვედრა მიზნად ისახავს სექსუალური დანაშაულის ჩადენას, მათ შორის, სექსუალურ ძალადობას. გრუმინგის მეთოდი, როგორც წესი გულისხმობს, არასრულწლოვანთან "დამეგობრებას" სოციალურ ქსელში, მასთან ასაკისთვის შეუსაბამო შინაარსის ინტიმური საკითხების განხილვას, მისთვის ფოტოების გაგზავნის მოთხოვნას და ა.შ.

აღნიშნული კონვენციის ფარგლებში დაცული უფლებების აღსასრულებლად, პროფესიონალებმა, მშობლებმა და ბავშვებმა უნდა მიმართონ ჯანდაცვის,

განათლების, სოციალური დაცვის, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებს.

ბუდაპეშტის კონვენცია

ბუდაპეშტის კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს ზოგადად ონლაინ დანაშაულების გამოძიებისას დაიცვან შესაბამისი სტანდარტი. თუმცა, ჩვენთვის ეს კონვენცია საინტერესოა ბავშვთა ონლაინ სექსუალური ძალადობის დანაშაულის გამოძიების კუთხით და ანალიზიც ამ კუთხით წარვმართოთ. კომპიუტერული დანაშაულების, მათ შორის, ბავშვთა სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის შემთხვევებზე სწრაფი და დაუყოვნებელი რეაგირების განხორციელების მიზნით ბუდაპეშტის კონვენცია ადგენს შემდეგ სტანდარტს:

- სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას მისცემს, გასცენ ბრძანება და მოითხოვონ ნებისმიერ კომპიუტერში არსებული უკანონო (მაგ. ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის მასალა) მასალის შენახვა, რათა დამნაშავემ ვერ შეძლოს მისი განადგურება და პოლიციამ სიღრმისეულად გამოიძიოს მისი დამზადების და გავრცელების ისტორია, ადეკვატური სასჯელის განსაზღვრისა და მომავალი დანაშაულების პრევენციისათვის (მუხლი 16).

- სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა მოხდეს ონლაინ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებული დაცვა, რათა კვლავ არ მოხდეს მტკიცებულებების განადგურება (მუხლი 17).

- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის ტერიტირიაზე მყოფმა ყველა პირმა ჩააბაროს და სახელმწიფოს გადასცეს მის კომპიუტერულ სისტემაში შენახული კომპიუტერული მონაცემი, რომელიც სავარაუდო ონლაინ სექსუალურ დანაშაულთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ინტერნეტ მომსახურების მომწოდებელი, რომელიც თავის მომსახურებას ამ ტერიტორიაზე ახორციელებს, ანალოგიური ვალდებულებითაა შებოჭილი (მუხლი 18).

- სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ კომპიუტერში სავარაუდო ონლაინ სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის არსებობს დროს, სამართალდამცავებმა განახორციელონ ჩხრეკა და ამოღება (მუხლი 19).

- სახელმწიფო ვალდებულია სამართალდამცავების მიერ უზრუნველყოს ინტერნეტ ტრაფიკის მონაცემების შეგროვება, რითაც გაირკვევა თუ ვის მიერ ხორციელდება ონლაინ სექსუალური მასალის გადაცემა, მიღება, წვდომა თუ ტრანსლირება (მუხლი 20).

- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შინაარსობრივი მონაცემთა მოპოვება, რომელიც ეხება ონლაინ ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას (მუხლი 21).

ამავე დროს, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას 24 საათიანი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ექნება კომუნიკაცია საერთაშორისო პარტნიორებთან და მათი დახმარებით გაუმკლავდება საზღვარგარეთიდან ატვირთულ ონლაინ მასალას, ან მოიპოვებს ინფორმაციას საზღვარგარეთ არსებულ სერვერებზე, სადაც შეიძლება განთავსებული იყოს საქართველოში მყოფი სექსუალური ძალადობის მსხვერპლის დამაზიანებელი მასალა. აღნიშნული კონვენცია ასევე ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას ისეთ ინტერნეტ პლატფორმებთან, როგორიცაა Meta, Google და სხვა რათა მოხდეს ბავშვის დამაზიანებელი ძალადობრივი მასალის დაუყოვნებელი წაშლა ამ პლატფორმებიდან, როგორც წესი, რამდენიმე საათში.

აღნიშნული კონვენციის ფარგლებში დაცული უფლებების აღსასრულებლად, პროფესიონალებმა, მშობლებმა და ბავშვებმა უნდა მიმართონ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებს.

გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ძალადობის დანაშაული ასახულია ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში მათ შორის: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა საჭიროებს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციას, ამ ტიპის დანაშაულის სწრაფად განვითარებისა და ბოლო წლებში შემუშავებული რეგულაციების სრულფასოვნად ასახვისა და ამოქმედების მიზნით.

პრაქტიკული რეკომენდაციები უფროსებისთვის

ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან და ექსპლუატაციისგან დაცვის პრაქტიკული განხორციელება, მათ შორის, ონლაინ სივრცეში.[9]

იმისათვის, რომ რეალობაში დავნერგოთ ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან და ექსპლუატაციისგან დაცვის მექანიზმები, საჭიროა ვიცნობდეთ საუკეთესო პრაქტიკებს.

ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას დიდ ბრიტანეთში ვხვდებით. იქ განათლების დეპარტამენტმა ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან, მათ შორის ონლაინ სივრცეში, დაცვის მიზნით შეიმუშავა სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს დოკუმენტი:

იმისათვის რომ არაიურისტი პროფესიონალებისთვის ავხსნათ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის არსი, განვიხილოთ ის გამარტივებულად.

როდესაც ხორციელდება ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაცია ონლაინ, ბავშვებზე მოძალადეები მოქმედებენ სამი ძირითადი ფორმით:

- მოძალადეები ბავშვებისგან მოითხოვენ სექსუალური შინაარსის საუბარს ან მიმოწერას ონლაინ.
- მოძალადეები ბავშვებისგან მოითხოვენ სექსუალური შინაარსის ფოტოების გაგზავნას მათთვის ან ამგვარი ფოტოების ატვირთვას ინტერნეტში/სხვადასხვა პლატფორმაზე.
- მოძალადეები ბავშვებისგან მოითხოვენ, რომ ბავშვებმა მონაწილეობა მიიღონ სექსუალური შინაარსის აქტივობაში, რომელსაც მოძალადე უყურებს ტელეფონის ან ინტერნეტ კამერის მეშვეობით, ან ითხოვს ამ მიზნით შეხვედრას.

ონლაინ მოძალადეები ხშირად იყენებენ პირადი ხასიათის ვიდეოების, საუბრის ჩანაწერის და გამოსახულების გავრცელების მუქარას იმისათვის, რომ ბავშვებს აიძულონ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება. მათ შესაძლოა ბავშვისგან მოითხოვონ დამატებით სექსუალური შინაარსის აქტივობებში მონაწილეობა და ამით დააშანტაჟონ.

---

[9] Department for Education, The UK, Child sexual exploitation, Definition and guide for practitioners, local leaders and decision makers working to protect children from child sexual eploitation, February 2017, Child sexual exploitation: definition and a guide for practitioners, local leaders and decision makers working to protect children from child sexual exploitation (PDF)

როგორ მოვახდინოთ პრევენცია:

- აუცილებელია ბავშვების და მოზარდების განათლება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის და მასთან ასოცირებული რისკების და ზიანის შესახებ (განსაკუთრებული აქცენტით ონლაინ საფრთხეებზე).

- მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ბავშვი შეიძლება იყოს როგორც მსხვერპლი, ისე ახორციელებდეს კრიმინალიზებულ ქმედებას სექსუალური ექსპლუატაციის დროს, თუმცა ასეთ დროს ბავშვი თავადაც არასწორი გავლენის მსხვერპლია და მასაც ესაჭიროება დახმარება.

- მნიშვნელოვანია ბავშვების და ოჯახების მედეგობის და დამცავი ფაქტორების გაძლიერება მათ გარშემო.

- მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს და სოციალური მხარდაჭერის ქსელის ხელშეწყობა, სადაც ბავშვები და მოზარდები დაამყარებენ უსაფრთხო მეგობრულ ურთიერთობებს.

- ბავშვთა ექსპლუატაციისგან დაცვის ინიციატივა უნდა იყოს არა უნივერსალური, არამედ მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებზე დაფუძნებული, რომელიც ამავე დროს, არ მოახდენს მიზნობრივი ჯგუფის სტიგმატიზებას.

- საჭიროა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამები და კამპანიები ფართო საზოგადოების, პროფესიონალების და ოჯახებისთვის, რომლის შინაარსიც დაფუძნებული იქნება მტკიცებულებებზე, შეცვლის მითებს და ცრურწმენებს აღნიშნულ თემაზე, შეცვლის მსხვერპლის დადანაშაულების ტენდენციას და მხარს დაუჭერს მათი უფლებების დაცვას.

რა გავლენას ახდენს ბავშვზე სექსუალური ექსპლუატაცია:

ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას შესაძლოა ხანგრძლივი ეფექტი ჰქონდეს მათ ცხოვრებაზე და კეთილდღეობაზე, ბავშვებს შესაძლოა შეხვდეთ შემდეგი სახის სირთულეები:

- იზოლაცია ოჯახისა და მეგობრებისგან.

- სასკოლო მოსწრებისგან ჩამორჩენა, შეფერხება გამოცდების ჩაბარებაში, სკოლის დატოვება.
- არასრულწლოვან ასაკში ბავშვის გაჩენა.
- დაუსაქმებლობა.
- მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები.
- ალკოჰოლის და ნივთიერებების ბოროტად გამოყენება.
- სუიციდური აზრების და მცდელობების ქონა.

რა გავლენას ახდენს ბავშვზე ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია

როგორც კვლევები მიუთითებს, ონლაინ ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას აქვს არანაკლებ უარყოფითი ზეგავლენა ბავშვებზე, მათ შორის:

- საკუთარი ბრალეულობის განცდა.
- ემოციური პრობლემები.
- ძილის სირთულეები.
- ღამის კოშმარები.
- უკიდურესი დაღლილობის განცდა.
- კონცენტრაციის პრობლემა.
- აკადემიური ჩამორჩენა სკოლაში.
- ქცევითი პრობლემები სკოლაში.
- დეპრესია.
- დაბალი თვითშეფასება.
- სოციალურ ურთიერთობებზე უარის თქმა.
- პანიკის შეტევა და შფოთვითი პრობლემები.
- კვებითი პრობლემები.
- თვით-დამაზიანებელი ქცევა.

ციფრული ტექნოლოგია მოძალადეებს საშუალებას აძლევს ბავშვთან კომუნიკაცია იქონიონ როგორც დილას, ისე - ღამით. ღამით კომუნიკაციისას ონლაინ მოძალადეებს აქვთ საშუალება ბავშვის ცხოვრებაზე მეტი კონტროლი ჰქონდეთ და მათი მცდელობები დიდხანს დარჩეს საიდუმლოებით მოცული. ამ დროს ბავშვი თავს უიმედოდ გრძნობს და მოძალადისგან თავის დახსნის გზას ვერ ხედავს.

თუ ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის მასალა მოძალადემ განათავსა ონლაინ, მაშინ ყოველ ჯერზე, როდესაც ამ მასალას ნახულობს რომელიმე ონლაინ მომხმარებელი, ბავშვი ხელახლა განიცდის სექსუალურ ძალადობას. ვინაიდან

ონლაინ განთავსებული მასალის პოვნა და პლატფორმიდან მოხსნა რთული პროცესია, ბავშვის ტრავმატიზაციის საფრთხე განსაკუთრებით მაღალია ასეთ დროს.

ბავშვზე სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობა

სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობის მიზნით, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ქცევებს:

- ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალური ქცევის გამომჟღავნება.
- გარკვეული სიტუაციის ან ადამიანების მიმართ შიშის ქონა.
- ემოციურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილება.
- თანატოლების და ჩვეული საზოგადოებისგან გარიყვა.
- საიდუმლოებით მოცულობა.
- აუხსნელი ფულის ან ახალი სათამაშოების (მაგ. ტანსაცმელი ან მობილური ტელეფონი) ქონა, რომლის წარმომავლობასაც ვერ ხსნიან.
- დროის გატარება ბევრად უფროს პირებთან და სოციუმთან.
- უფროსი ადამიანებისთვის „შეყვარებულის“ წოდება.
- სკოლის გაცდენა ან აკადემიური ჩამორჩენა.
- პერმანენტულად სახლში გვიან დაბრუნება.
- სახლიდან ან ზრუნვის სისტემიდან აუხსნელი გასვლა და დატოვება.
- სამართალდარღვევების და მცირე მასშტაბის დანაშაულების ჩადენა (მაგ. მაღაზიიდან ქურდობა).
- დიდი დროის გატარება სასტუმროებში ან სხვა საეჭვო ადგილებში.
- მათი ადგილსამყოფლის არცოდნა.
- აუხსნელი ფიზიკური დაზიანებების ნიშნების გაჩენა.
- მოულოდნელი ცვლილება გარეგნობაში (მოულოდნელი წონის დაკლება).
- თვით-დაზიანების ნიშების გაჩენა და სხვა.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის და ექსპლუატაციის ნიშნების ამოცნობა სამედიცინო მუშაკების მიერ

ინგლისის ეროვნული ჯანდაცვის სისტემამ (NHS England) ჯანდაცვის მუშაკებისთვის შეიმუშავა მოკლე დამხმარე სახელმძღვანელო[10], რომელიც მათ დაეხმარება სექსუალური ექსპლუატაციის, მათ შორის, ონლაინ ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ამოცნობასა და მხარდაჭერაში:

ფიზიკური ნიშნები:

- თვითდამაზიანებელი ქმედება, სუიციდის მცდელობა.
- ქცევის ან, გარეგნობის მოულოდნელი და აუხსნელი ცვლილება.
- სექსუალურად გადამდები დაავადებების ან ორსულობის ტესტის განმეორებით გაკეთება.
- შარდ-სასქესო გზების ინფექციის განმეორებითი სიმპტომები და მასთან დაკავშირებული სამედიცინო მდგომარეობები.
- განმეორებითი ორსულობა, შეწყვეტა და სხვა.
- ალკოჰოლის მიღება.
- ნივთიერებების მიღება.
- აუხსნელი დაზიანებების ქონა სხეულზე.
- პირადი ჰიგიენის და თვითზრუნვის ნაკლებობა.

ფსიქოლოგიური ნიშნები:

- მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები.
- დაბალი თვითშეფასება.
- კვებით პრობლემები.
- სუიციდური იდეები და ფიქრები.
- პიროვნების აშლილობა.
- დისოციაცია.
- დეპრესია.
- ძილის დარღვევა/ღამის კოშმარები.
- პოსტტრავმული სტრესის ნიშნები.
- სწავლის სიძნელეები.
- მიჯაჭვულობის ნაკლებობა ან მიჯაჭვულობის დარღვევა და სხვა.

ქცევითი ნიშნები:

---

[10] NHS England, Child Sexual Exploitation, Advice for Healthcare Staff, A pocket guide to provide practical information to healthcare staff to safeguard children and young people https://www.england.nhs.uk/wp-content/uploads/2017/02/cse-pocket-guide.pdf

- სკოლის გაცდენა ან სკოლიდან დათხოვნა ქცევის პრობლემის გამო.
- ღამის გათენება სახლის ან ზრუნვის სივრცის გარეთ.
- საჩუქრების მიღება უცხო პირებისგან.
- უცნობი და საეჭვო წარმოშობის ნივთების აღმოჩენა ბავშვთან (ფული, მობილური ტელეფონი, ალკოჰოლი და სხვა).
- ძალადობრივ დაჯგუფებებთან ურთიერთობა.
- გარეგნობის მოულოდნელი შეცვლა.
- სექსუალიზებული ტანსაცმლის ჩაცმა.
- უცხო ადამიანებთან ურთიერთობა.
- ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან შემცირებული კომუნიკაცია.
- უცხო მანქანებით გადაადგილება.
- გაცილებით მაღალი ასაკის შეყვარებულის ყოლა და სხვა.

რისკ-ფაქტორები და მოწყვლადობა

სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი შესაძლოა ყველა ბავშვი გახდეს, თუმცა, როგორც კვლევებმა გამოავლინეს, გარკვეული ფაქტორები შეიძლება ზრდიდეს ბავშვის მოწყვლადობას, მათ შორის:

- ბავშვის მიერ დაბალი თვით-შეფასების ქონა.
- საკუთარი ასაკის მეგობრების ნაკლებობა.
- სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნა ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლა ბოლო პერიოდში.
- ძალადობის ისტორია, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობისა.
- ოჯახის წევრის დაკარგვა ბოლო პერიოდში.
- უსახლკარობა.
- კრიმინალურ დაჯგუფებებთან კონტაქტში ყოფნა ან მათ სიახლოვეს ცხოვრება.

სექსუალური მოძალადეები და სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩართული პირები:

მოძალადეები შეიძლება იყვნენ:

- ინდივიდები ან ჯგუფები.
- კაცები ან ქალები.

- ბავშვები ან უფროსები.

ძალადობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან განმეორებადი ინციდენტები გარკვეული დროის განმავლობაში, ორგანიზებული დანაშაულის ფორმით.

მოძალადეების ამოცნობა განსაკუთრებით ძნელია ვინაიდან:

- მათ შესახებ მონაცემები ნაკლებად მოიძებნება ან არასრული მონაცემები არსებობს.
- ბავშვი ონლაინ მოძალადეს შესაძლოა მხოლოდ ზედმეტსახელით იცნობდეს ან მხოლოდ სახეზე ცნობდეს.
- ბავშვი შეიძლება ერთმა მოძალადემ სხვა მოძალადეს „გადასცეს“ და ბავშვისთვის რეალურად უცნობი იყოს, ვინ დგას ონლაინ ექაუნთის/პროფილის უკან.
- მოძალადეები გადაადგილდებიან სხვადასხვა ადგილას (მათ შორის სხვადასხვა პლატფორმაზე, იცვლიან IP მისამართს) და რთულია მათი აღმოჩენა.
- მოძალადეები ბავშვებს შესაძლოა აიძულებდნენ ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერებების მიღებას, რაც ზემოქმედებას ახდენს ბავშვის მიერ მოძალადის აღქმასა და დამახსოვრებაზე.

მოძალადეებს აღწერენ როგორც მანიპულაციის უნარის მქონე პირებს, რომლებიც საკუთარ ძალაუფლებას (რომლის წყაროც შეიძლება იყოს სტატუსი, მათი როლი ბავშვის ცხოვრებაში და სხვა) იყენებენ ბავშვების დასამორჩილებლად, დასაშინებლად და მათზე ზემოქმედების განსახორციელებლად.

მოძალადემ შესაძლოა აიძულოს ბავშვი, რომ სხვა ბავშვებს დააკავშიროს, დაარწმუნოს ან აიძულოს სხვა ბავშვები, მოძალადესთან კომუნიკაციაში შევიდნენ, მოაწყოს მოძალადესა და სხვა ბავშვებს შორის შეხვედრები.

ბავშვებთან კომუნიკაცია, როდესაც გვაქვს ეჭვი მათ მიმართ შესაძლო სექსუალურ ძალადობაზე [11]

[11] Center of Expertise on Child Sexual abuse, Communicating with Children, A guide for education professionals when there are concenrns about abuse or behavior, November 2022. https://www.csacentre.org.uk/app/uploads/2023/09/Communicating-with-children-education.pdf

თუ ბავშვი თქვენ გეუბნებათ, რომ მასზე სექსუალურად იძალადეს, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და გააგრძელეთ ბავშვთან საუბარი, მაქსიმალურად სხვებისგან დაცულ სივრცეში. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან პროფესიულ კომუნიკაციას, როგორც წესი, ამ სფეროში სპეციალიზებული პროფესიონალები ახორციელებენ სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ გარემოში. მაგრამ, თუ შემთხვევით ბავშვმა თქვენ, ამ მიმართულებით არასპეციალისტს, მოგმართათ საკუთარი გამოცდილების გაზიარებისათვის, არ დაიბნეთ და ბავშვს არ უთხრათ უარი მოსმენაზე. თუ თქვენ ვერ მოუსმენთ ბავშვს, მან შეიძლება ნდობა დაკარგოს უფროსების მიმართ. სანამ შეძლებთ ბავშვის გადამისამართებას სპეციალიზებულ მომსახურებაში, მანამდე ბავშვის მოსმენისთვის რომ მზად იყოთ, ქვემოთ ჩამოთვლილი მოკლე რეკომენდაციები გამოგადგებათ. გაეროს ბავშვთა ფონდი თავის პუბლიკაციაში გვაცნობს ძირითად წესებს სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაციისას[12]:

როდესაც ბავშვი მის თავს გადახდენილი ძალადობის მოყოლას ცდილობს რომელიმე უფროსისთვის, როგორც წესი, სიტუაცია ჯერ კიდევ მწვავეა. მსხვერპლი ბავშვი და, რიგ შემთხვევაში, მისი მშობელიც განიცდიან ამ მდგომარეობისთვის ტიპიურ ემოციებს:

- სირცხვილის განცდა,
- თვით-დადანაშაულება,
- იმის შიში რომ არ დაუჯერებენ,
- იმის შიში თუ რა მოხდება, როდესაც საზოგადოება ამის შესახებ გაიგებს.

ეს ემოციები ბუნებრივია, მაგრამ თუ მათზე სწორი რეაგირება არ მოხდა, დაზიანდება ბავშვი და უფროსიც, მათ შორის, პროფესიონალი ვერ მოახერხებს მასთან სწორ კომუნიკაციას.

უფროსის ნათქვამმა არასწორმა სიტყვამ ან ქცევამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვის რეაბილიტაციაზე მომავალში. მაგალითად, თუ ბავშვი იგრძნობს რომ უფროსი მას ადანაშაულებს სექსუალური ძალადობის გამო, მან შესაძლოა უფრო ღრმა ხარისხის სირცხვილის, შფოთვის და მწუხარების ემოციები

[12] UNICEF, International Rescue Committee, Caring for Child Survivor of Sexual Abuse Guidelines, 2023. https://www.unicef.org/media/155226/file/CCS%20Guidelines%20Final%20.pdf

განიცადოს და უარი თქვას ინფორმაციის გაზიარებაზე, ასევე პროფესიონალებთან ურთიერთობაზე.

პირველ რიგში, უფროსმა, ვისაც ბავშვი ინფორმაციას უზიარებს, უნდა შექმნას ბავშვისთვის უსაფრთხო, მხარდამჭერი და დამხმარე გარემო. უფროსისგან ბავშვისკენ უნდა მიდიოდეს თანაგრძნობით სავსე, ყოველგვარი შეფასებისგან და განსჯისგან დაცლილი კომუნიკაცია.

თუ ბავშვმა თქვენთან საუბარი გადაწყვიტა:

- **შეარჩიეთ უსაფრთხო გარემო:** მსხვერპლ ბავშვთან ურთიერთობა უნდა შედგეს კონფიდენციალურ, უსაფრთხო და ბავშვზე-ორიენტირებულ გარემოში. ეს უკანასკნელი შეიძლება მოიცავდეს სივრცეს, სადაც ბავშვი თავს კომფორტულად გრძნობს, შეუძლია, მათ შორის იატაკზე დაჯდომა. ბავშვის ასაკის შესაბამისად, უფროსმა უნდა შესთავაზოს სივრცის არჩევანი, ანუ იმგვარი შეხვედრის ადგილის არჩევანის შესაძლებლობა, სადაც ბავშვი უკეთ იგრძნობს თავს.

- **გამოიჩინეთ სიფრთხილე თუ ბავშვთან ნებისმიერი ფორმით შეხება მოგიწევთ.** მზრუნველობითი კომუნიკაცია არ გულისხმობს აუცილებლად შეხებას. რიგ შემთხვევაში, შესაძლოა ბავშვმა თავად მოინდომოს ჩახუტება, მაგრამ სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, წინააღმდეგი იყოს უფროსის ხელის შეხებისა. ყოველთვის პატივი ეცით მის სურვილს.

- **დაამყარეთ ბავშვთან თანასწორი ურთიერთობა:** დასხედით მის სიმაღლეზე, გქონდეთ მასთან თვალით კომუნიკაცია. ეცადეთ არც ზემოდან და არც ქვემოდან ეურთიერთოთ ბავშვს. თანასწორ სიმაღლეზე ყოფნა ბავშვის მიმართ პატივისცემას ავლენს და აძლიერებს ნდობის ატმოსფეროს.

- **სთხოვეთ ბავშვს მასთან საუბრის ნებართვა:** ბავშვის პიროვნების აღიარება და პატივისცემა მისთვის ნებართვის თხოვნაშიც გამოიხატება. მის მიმართ პატივისცემის გამოხატვა ხელს შეუწყობს ბავშვის თქვენს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

- **აუხსენით ბავშვს ვინ ხართ და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს თქვენთან დაკავშირებით:** ისევე როგორც ზრდასრულს, ბავშვსაც სრული უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე თუ ვინ ხართ, რა პროფესიას წარმოადგენთ, რა ვალდებულებები გაქვთ ბავშვის, საზოგადოების თუ

რომელიმე უწყების მიმართ, როგორ მოეპყრობით ინფორმაციას, რომელსაც ბავშვი მოგცემთ და რა შეგიძლიათ და გევალებათ გააკეთოთ მის დასახმარებლად. ეს ინფორმაცია მიაწოდეთ მისთვის გასაგები ფორმით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ენის მოჩლექით.

- **შექმენით მხარდამჭერი გარემო:** დაარწმუნეთ ბავშვი, რომ ის ფიქრები და განცდები რაც მას აქვს, ბუნებრივია და დროსთან ერთად მოწესრიგდება. აუხსენით, რომ მისი მხრიდან კითხვების დასმა ასევე ბუნებრივია და რომ შესაძლოა საჭირო იყოს დრო დამშვიდებისთვის, ყველაფრის დალაგებისთვის და რომ მას მუდმივად ექნება თქვენი და სხვების მხარდაჭერა ამ პროცესში. თუ რაიმე კითხვაზე პასუხი არ გაქვთ, გულწრფელად უთხარით ბავშვს, რომ პასუხი არ გაქვთ. არ დაჰპირდეთ ისეთ რამეს, რასაც ვერ შეუსრულებთ. ასევე გულწრფელად აუხსენით, რომ მის მიერ გაზიარებული ინფორმაციის ნაწილის გაზიარება მოგიწევთ სამართალდამცავებთან ისევ მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

- **არ გახდეთ ბავშვისთვის დამატებითი სტრესის წყარო:** ბავშვები სექსუალური ძალადობით გამოწვეულ ტრავმას სხვადასხვანაირად უმკლავდებიან: ბევრი ბავშვი შესაძლოა ძალიან ემოციურად და აღელვებით საუბრობდეს ამ მოვლენაზე, სხვები - შესაძლოა უფრო დისტანცირებულნი და ერთი შეხედვით "სიმშვიდით" საუბრობდნენ ამაზე. ყველა რეაქციის უკან რთული ფსიქიკური მექანიზმი და ბავშვის განსხვავებული გამოცდილება დგას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ვერ ხსნიდეთ ბავშვის ქცევას თქვენთან საუბრისას, მიიჩნიეთ, რომ ეს მისი ინდივიდუალური და ბუნებრივი რეაქციაა და თქვენ, ყველა შემთხვევაში უპასუხეთ მხარდაჭერით. ნუ მოახდენთ ბავშვის ქცევის შეფასებას და განსჯას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე. ფრაზა "მე ასე არ მოვიქცეოდი" მხოლოდ შეცდომაში შეგიყვანთ. ვინაიდან თქვენ არ იცით ბავშვმა რა გამოიარა და რა გამოცდილება მიიღო, ვერ შეაფასებთ მის ტრავმას. შესაბამისად, ეცადეთ ბავშვის ტრავმირება არ მოხდეს თქვენი წინასწარი განწყობების გამო ან თქვენთან ურთიერთობის პროცესში, ვინაიდან ამ შემთხვევაში გახდებით მის მიერ განცდილი ძალადობის და არა მხარდაჭერის ნაწილი.

- **ყურადღება მიაქციეთ ბავშვის და თქვენს არავერბალურ კომუნიკაციას:** ბავშვებმა შესაძლოა არავერბალური გზით გადმოსცენ თავისი სტრესი, მაგ. ტირილით, კანკალით, სახის დაფარვით, სხეული პოზის შეცვლით.

იმისათვის, რომ ბავშვს მაქსიმალურად მხარდამჭერი გარემო შეუქმნათ, ყურადღება მიაქციეთ არა მხოლოდ აშკარა, არამედ უფრო დაფარულ არავერბალური კომუნიკაციის ნიშნებს, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ თქვენმა შეკითხვამ ის უფრო დაძაბა და დამატებითი სტრესი მიაყენა. მაგალითად, როდესაც ბავშვი უფრო დიდ პაუზას აკეთებს პასუხის გაცემის წინ, იწყებს სკამზე ქანაობას, ხელების სრესას, წყვეტს თვალით კონტაქტს და სხვა. ამ ნიშნების გაჩენისას, შეეცადეთ გაანალიზოთ რა იყო დამატებითი სტრესის წყარო და შეამციროთ ის. ასევე ყურადღება მიაქციეთ საკუთარ არავერბალურ ქცევას, რათა უნებლიეთ თქვენი დაძაბულობა ან ინტერესის დაკარგვა არ აჩვენოთ ბავშვს, რაც ზეგავლენას იქონიებს მისი მხრიდან თქვენს მიმართ ნდობაზე.

- **პატივი ეცით ბავშვის აზრს და ნათქვამს:** მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა იგრძნოს მისი აზრების, მაშასადამე მისი პიროვნების პატივისცემა როგორც ზოგადად ურთიერთობის, ისე კონკრეტული კომუნიკაციის პროცესში.

- **გაამხნევეთ ბავშვი:** ბავშვს აუხსენით და დაარწმუნეთ, რომ მისი ბრალი არაფერი არ არის იმაში, რაც მოხდა. გამოიყენეთ ისეთი მხარდამჭერი ფრაზები როგორიცაა "მე მჯერა შენი". ხაზი გაუსვით მოძალადის პასუხისმგებლობას და იმას, რომ ის დაისჯება. აღნიშნეთ, როგორი გამბედავია, რომ შეძლო ამ თემაზე საუბარი და გაუმეორეთ, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი იმაზე რაც მოხდა.

- **არ დააძალოთ ბავშვს საუბარი მასთან, ვის მიმართაც ბავშვს ნდობა არ აქვს:** სათანადო გულისხმიერებით მიიღეთ თუ ბავშვი უარს იტყვის ვინმესთან კომუნიკაციაზე ან ვინმეს წინაშე ამბის გაზიარებაზე, მას შეიძლება ჰქონდეს ამისთვის სერიოზული მიზეზი.

  გახსოვდეთ, რომ თქვენი მიზანი არაა იმის შეფასება, რა მოხდა და კონკრეტულად რა ფაქტებს ჰქონდა ადგილი, არამედ ბავშვისთვის ისეთი მხარდამჭერი გარემოს შექმნა, რომ მან შეძლოს ამ გამოცდილების გაზიარება პროფესიონალისთვის.

სისტემური რეაგირება

რეაგირების მთავარი პრინციპია ის, რომ ბავშვთა ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა არასოდესაა მსხვერპლის ბრალი. არც ბავშვმა და არც მშობელმა არ უნდა იგრძნოს თავი დამნაშავედ იმის გამო, რომ დანაშაული მოხდა. დანაშაულის გრძნობა აფერხებს ბავშვის რეაბილიტაციას და მშობლის მხრიდან ბავშვის ეფექტურ მხარდაჭერას რეაბილიტაციის პროცესში.

მთავარი ფაქტორები, რაც ხელს უწყობს ეფექტურ რეაგირებას:

ბავშვთა დაცვის სერვისების და პროცედურების არსებობა: იმისათვის, რომ ბავშვი დავიცვათ სექსუალური ექსპლუატაციისგან, რეაგირება უნდა მოხდეს მაქსიმალურად ადრე. ადრეულ ეტაპზე რეაგირება შესაძლებელია, როდესაც არსებობს შესაბამისი პროცედურა, რომელსაც ნებისმიერი პროფესიონალი ეჭვის გაჩენისას მიმართავს. ამგვარ პროცედურას უწოდებენ **„სტანდარტული რეაგირების პროცედურას**“. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისგან და სექსუალური ძალადობისგან დაცვის სერვისებში კი უნდა იყოს შესაბამისი მომსახურებები, ინფორმაცია და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა პროფესიონალებისთვის. სერვისები უნდა ემსახურებოდეს როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს, რომელთაც ასევე ესაჭიროებათ გაძლიერება, რათა სრულფასოვნად შეძლონ ბავშვების დახმარება.

სააგენტოებს შორის თანამშრომლობა: ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია იმდენად რთული მოვლენაა, რომ აუცილებელია სხვადასხვა უწყების თუ სააგენტოს ჩართულობა, რაც მოწესრიგებული უნდა იყოს შესაბამისი პროცედურით. ყველა სააგენტოს როლი და პასუხისმგებლობა უნდა იყოს დეტალურად გაწერილი, გასაჩივრების მექანიზმის ჩათვლით. სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ დანერგილი რისკის შეფასების მეთოდები, რომელიც ბავშვთა უფლებებზეა დაფუძნებული. სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ დეტალური დოკუმენტირების, კონფიდენციალობის დაცვის და ქეისის მართვის სისტემა

ბავშვთა დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისგან უნდა იყოს ყველას პასუხისმგებლობა: მიუხედავად იმისა თუ ვისთვის გახდა ინფორმაცია შესაძლო ექსპლუატაციის შესახებ ცნობილი, ყველა პირი, მიუხედავად მისი პოზიციისა, ვალდებულია ბავშვი დაიცვას. ამისათვის უნდა არსებობდეს შეტყობინების სწრაფი, ხელმისაწვდომი და ადამიანზე მორგებული შესაძლებლობა, რომლის შესახებ ინფორმაცია ფართოდ გავრცელებული იქნება. ყველა ზრდასრულმა, პრაქტიკოსმა, ბავშვმა და ოჯახმა უნდა იცოდეს, სად ითხოვოს დახმარება. შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმუშაონ იმაზე, რომ საზოგადოებაში არსებულმა სტერეოტიპებმა მავნე ზეგავლენა არ იქონიონ ბავშვების სექსუალური

ძალადობისგან დაცვაზე. შესაბამისად, უწყებებმა უნდა შეცვალონ არსებული სტერეოტიპები და დანერგონ სამართალდამცავებისადმი ნდობის გარემო, რომელიც ბავშვს და ოჯახს აგრძნობინებს თავს უსაფრთხოდ შეტყობინების გაკეთებისას და არ ექნებათ ბავშვის მეორადი ტრავმატიზაციის შიში.

ბავშვზე ცენტრირებული მუშაობა: ყველა პრაქტიკოსმა და მშობელმა ბავშვი უნდა აღიქვას არა ობიექტად, არამედ უფლებების სუბიექტად, რომელსაც აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილებებში რომელიც მას ეხება, მათი საჭიროებებიდან და განვითარებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ეჭვი ბავშვზე ძალადობაში ოჯახის ან მშობლის მონაწილეობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკოსებმა იმუშაონ მთელ ოჯახთან და გამოიყენონ ოჯახში არსებული რესურსები და შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ მშობლების, განსაკუთრებით დედის უსაფუძვლო დადანაშაულება ბავშვის მიმართ ონლაინ სექსუალურ ძალადობაში (დედის მხრიდან უყურადღებობის ფორმით) ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის რეაბილიტაციაზე და ახანგრძლივებს მის ტრავმატიზაციას; მშობელს კი ხდის არაეფექტურს, რომ დაეხმაროს ბავშვს მალე დაძლიოს ძალადობის შედეგად გამოწვეული ზიანი. პროფესიონალი მშობლებს ასევე უნდა დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, თუ რა სიმძიმის ტრავმა გადაიტანა ბავშვმა და სამომავლო რისკების შეფასებასა და მართვაში. მშობლებს შესაძლოა დასჭირდეს პროფესიონალების დახმარება იმისათვის, რომ გაუუმჯობესდეთ ბავშვებთან ურთიერთობა და ამით დაიცვან ბავშვების უსაფრთხოება.

პროაქტიური მიდგომა: ყველა პროფესიონალს უნდა ჰქონდეს მომეტებული ყურადღება და მგრძნობელობა ბავშვის მიერ სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენაზე. ისინი პრო-აქტიურად უნდა ამოწმებდნენ ბავშვის უსაფრთხოების დაცვას და უსმენდნენ ბავშვის ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას.

ურთიერთობაზე დაფუძნებული: პროფესიონალებს ბავშვებთან უნდა ჰქონდეთ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა და ქმნიდნენ მათთვის ისეთ უსაფრთხო გარემოს, რომელშიც ბავშვს მოუნდება მიმართოს დახმარებისთვის, პროფესიონალის მხრიდან გაკიცხვის და განსჯის რისკის გარეშე.

რა უნდა გააკეთოთ, როდესაც გაქვთ ეჭვი ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობაზე (ონლაინ ან ფიზიკურ გარემოში):

ყველა ადამიანმა, რომელიც ფიქრობს, რომ ბავშვი არის მსხვერპლი ან ემუქრება საფრთხე სექსუალური ძალადობის თუ ექსპლუატაციისა (იქნება ეს ონლაინ თუ ფიზიკურ სივრცეში), უნდა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

თუ ბავშვთან მომუშავე პროფესიონალი არ არის დარწმუნებული, მაგრამ აქვს გარკვეული ეჭვი, უნდა იმოქმედოს, მის ორგანიზაციაში დანერგილი პროცედურის და ქვეყანაში შემუშავებული რეფერირების მექანიზმის შესაბამისად. ასევე უნდა მიმართოს ბავშვთა დაცვის სამსახურს.

მშობლებმა, ანალოგიურად ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ეჭვის ან ინფორმაციის ქონის შემთხვევაში უნდა მიმართონ პოლიციას, ბავშვთა დაცვის სამსახურს და შესაბამისს სერვისს.

ონლაინ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მასალის აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია, მშობელი და პროფესიონალი დაუკავშირდეს პოლიციას, ამ მასალის დაუყოვნებელი აღების/წაშლის მოთხოვნით.

რეაგირება უნდა იყოს მიმართული როგორც ბავშვის იმწუთიერ უსაფრთხოებაზე და პრობლემაზე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაზე. ამოსავალი წერტილია ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება. თუ პირი თვლის, რომ ბავშვს ემუქრება მყისიერი საფრთხე და საჭიროა პროფესიონალის, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა, გადადეთ ყველას საქმე და მიმართეთ შესაბამის უწყებას რეაგირებისათვის. თუ ბავშვის უსაფრთხოება და იმწუთიერი საჭიროებები დაკმაყოფილებულია, მაშინ, შესაბამისი დარგის პროფესიონალებთან ერთად შეგიძლიათ წვლილი შეიტანოთ მის კეთილდღეობაში, განათლებაში და სამომავლო ინციდენტების პრევენციაში.

ბავშვის მიმართ იმწუთიერი სექსუალური ძალადობის თუ ექსპლუატაციის (მათ შორის, ონლაინ გარემოში) საფრთხის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ:

- ბავშვთა ცხელ ხაზს: 111
- პოლიციას: 112
- სახალხო დამცველის ცხელ ხაზს: 1481

- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს: 199
- არასამთავრობო ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“: 2 331356.

ბავშვთა უფლებები ონლაინ სივრცეში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვების დაცვა ონლაინ სივრცეში არ გულისხმობს მათთვის ინტერნეტის აკრძალვას, არამედ ამ სივრცის მოწესრიგებას. ბავშვებს ონლაინ სივრცეში გააჩნიათ უფლებები. ეს ნიშნავს, რომ შესაბამის უწყებებს და პროფესიონალებს გააჩნიათ ვალდებულებები, რომლებიც ბავშვების უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. ქვემოთ განვიხილოთ ბავშვთა უფლებები და სხვების ვალდებულებები ვირტუალურ გარემოში ანუ ონლაინ სივრცეში.

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის დადგენილი სტანდარტი ბავშვთა უფლებებზე ციფრულ სივრცეში (ზოგადი კომენტარი 25)

გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია წარმოადგენს ბავშვთა უფლებების სფეროში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და უნივერსალურ დოკუმენტს, რომლის რატიფიკაცია მსოფლიოში თითქმის ყველა სახელმწიფომ მოახდინა. აღნიშნული კონვენცია ადგენს ბავშვთა უფლებების და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვას ონლაინ სივრცეში.

2021 წელს, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა მიიღო ზოგადი კომენტარი #25[13], რომელიც ეხება **ბავშვთა უფლებებს ციფრულ სივრცეში** და დეტალურად განმარტავს კონვენციის სხვადასხვა მუხლის მიმართებას ინტერნეტის სივრცესთან.

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა ეს დოკუმენტი სახელმწიფოების პერიოდული ანგარიშების მიმოხილვის საფუძველზე შეიმუშავა. მისი მიზანია, მთავრობებს განუმარტოს, როგორ უნდა დაიცვან ბავშვთა უფლებები ციფრულ სივრცეში, როგორი კანონმდებლობა უნდა მიიღონ და პოლიტიკა შეიმუშაონ ვირტუალურ სივრცეში ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად.

[13] UN CRC, General Comment No 25 (2021), on children's rights in relation to the digital environment, published 02 March, 2021, CRC/C/GC/25: https://www.ohchr.org/en/documents/general-comments-and-recommendations/general-comment-no-25-2021-childrens-rights-relation

მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგადი კომენტარი და მასში მოცემული სტანდარტები:

კანონმდებლობა

ქვეყნის კანონმდებლობა უნდა პასუხობდეს ტექნოლოგიური განვითარების გამოწვევებს. არსებული კანონმდებლობა უნდა განახლდეს ტექნოლოგიური მიღწევების შესაბამისად, ხოლო ყველა ახალი კანონის მიღებას წინ უნდა უსწრებდეს "ბავშვებზე ზემოქმედების შეფასება", რათა კონკრეტული კანონის სავარაუდო ზეგავლენა ბავშვთა ცხოვრებაზე წინასწარ იყოს განჭვრეტილი, რაც საკანონმდებლო ორგანოს შესაბამისი ცვლილებების შეტანის საფუძველს მისცემს ამ კანონის ბავშვთა უფლებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ყოვლისმომცველი პოლიტიკა და სტრატეგია

ეროვნულ დონეზე არსებული ბავშვთა დაცვის, კეთილდღეობის თუ განათლების პოლიტიკა უნდა ფარავდეს ტექნოლოგიების და ინტერნეტის სივრცესაც. კერძოდ, პარლამენტმა უნდა დანერგოს რეგულაციები ბავშვთა დასაცავად ინტერნეტ სივრცეში, შეიმუშაოს სტანდარტები სხვადასხვა სექტორისთვის (მაგ. კომუნიკაციების სექტორი) დანერგოს ქცევის კოდექსები, რომლებიც ბავშვებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დაიცავს და მისცემს მათ უსაფრთხო წვდომას ციფრულ სერვისებზე. ბავშვთა დაცვა ონლაინ ძალადობისგან ინტეგრირებული უნდა იყოს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ეროვნულ და ადგილობრივ პოლიტიკაში, ეს პოლიტიკა ბავშვებს უნდა იცავდეს კიბერ-აგრესიისგან, და ციფრული და ტექნოლოგიებით-გამოწვეული ძალადობისგან, ასევე ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისგან.

კოორდინაცია

იმისათვის, რომ ქვეყნის ხელისუფლება ეფექტურად გაუმკლავდეს ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეულ ცვლილებებს სხვადასხვა სფეროში, საჭიროა შეიქმნას მაკოორდინირებელი ორგანო, რომლის მანდატიც იქნება პოლიტიკის, სახელმძღვანელოებისა და პროგრამების კოორდინირება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. მაკოორდინირებელი ორგანო ერთნაირად ეფექტურად უნდა მუშაობდეს სკოლებთან და ინტერნეტ-პროვაიდერებთან, კომუნიკაციის სფეროსთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ბიუჯეტის განსაზღვრა და გამოყოფა

სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ბიუჯეტის გამოყოფა და კონკრეტული საჯარო რესურსების გაწერა იმისათვის, რომ შეძლოს ბავშვთა უფლებების დაცვა ციფრულ სივრცეში. ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს განსაკუთრებულად მოწყვლადი ბავშვების მხარდაჭერას და გაძლიერებას. ასევე გატარებული ღონისძიებების მონიტორინგსა და რეფორმის შეფასებისთვის საჭირო რესურსებს.

მონაცემთა შეგროვება და კვლევა

სახელმწიფომ რეგულარულად უნდა შეაგროვოს მონაცემები, რათა განსაზღვროს ინტერნეტის ზემოქმედება ბავშვების ცხოვრებაზე. მონაცემები უნდა იყოს ჩაშლილი და დამუშავებული სქესის, გეოგრაფიული, სოციო-ეკონომიკური და სხვა მონაცემებით. თუმცა, ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ხოლო ბავშვებზე ინტერნეტის ზეგავლენის შესახებ კვლევები უნდა ჩატარდეს ბავშვებთან ერთად და ბავშვების მონაწილეობით. ამ კვლევის მონაცემებს უნდა დაეყრდნოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებების ინიციატივები. ბავშვები უნდა მონაწილეობდნენ, როგორც კვლევების დაგეგმვაში, ისე მათ განხორციელებასა და მონაცემების დამუშავებაში.

დამოუკიდებელი მონიტორინგი

სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების და სხვა დამოუკიდებელი მექანიზმების ეფექტურ მუშაობას, რათა მათ მიიღონ საჩივრები და გამოიკვლიონ ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები ონლაინ სივრცეში. მონიტორინგის შედეგები უნდა გაეცნოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომლებმაც საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინონ მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმების მიერ მიწოდებული ანგარიშები.

ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი:

სახელმწიფო უწყებები ვალდებულნი არიან გაავრცელონ ინფორმაცია და ჩაატარონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები ბავშვების უფლებებზე ვირტუალურ სივრცეში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამებს ბავშვებისთვის, მშობლებისა და პროფესიონალებისათვის, ფართო საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის. ამგვარმა პროგრამებმა უნდა გაზარდოს ცოდნა ციფრულ სამყაროსთან დაკავშირებულ რისკებზე ისევე, როგორც, ბავშვების უფლებებზე ინტერნეტთან წვდომასთან, ინფორმაციის მიღებასთან, ინფორმაციის გავრცელებასა და ინტერნეტის უსაფრთხო

მოხმარებასთან დაკავშირებით. თავად ასეთი საგანმანათლებლო პროგრამები კი ბავშვებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა შედგეს. საგანმანათლებლო ტრენინგები უნდა ჩატარდეს არა მხოლოდ ბავშვებისათვის, პროფესიონალებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის, არამედ ბავშვებთან, როგორც ტრენერებთან ერთად.

სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

სახელმწიფომ სისტემატურად უნდა ჩართოს სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის, ბავშვების წინამძღოლობით მომუშავე საინიციატივო ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები იმ კანონების, პოლიტიკის, სამოქმედო გეგმის და პროგრამების შემუშავებაში, რომლებიც ეხება ბავშვთა უფლებების დაცვას ინტერნეტ სივრცეში. სახელმწიფომ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა განახორციელონ საქმიანობა ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ვირტუალურ სამყაროში.

კერძო სექტორი ბავშვთა უფლებების დასაცავად

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ კერძო სექტორმა პატივი სცეს ბავშვთა უფლებებს და თავიდან აირიდოს ბავშვთა უფლებების დარღვევა, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, ბავშვებს შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა კერძო სექტორში არსებული მექანიზმების საფუძველზე. სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბიზნეს სექტორი აკმაყოფილებდეს ამ პირობებს. ამ მიზნით სახელმწიფო იღებს ზომებს, სპეციალური კანონმდებლობის, რეგულაციების და პოლიტიკის შემუშავების გზით, რომელიც ბიზნესს დაავალდებულებს, რომ მათი ქსელი ან ონლაინ სერვისები არ იყოს გამოყენებული ან არ იწვევდეს ბავშვთა უფლებების დარღვევას ვირტუალურ სივრცეში. ასევე, ბიზნესის სივრცეში დაცული უნდა იყოს ბავშვების პირადი ცხოვრებისა და ძალადობისგან დაცვის უფლება. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ბიზნეს სექტორი, რათა მათ ფართოდ გაავრცელონ ინფორმაცია და გაუწიონ დროული და ხელმისაწვდომი კონსულტაცია ინტერნეტ სივრცეში ბავშვების უსაფრთხო და მათთვის სასარგებლო ჩართულობაზე.

მიუხედავად, იმისა რომ ბიზნეს სექტორი შესაძლოა თავად არ იყოს ბავშვზე ძალადობის უშუალო განმახორციელებელი, მათ შეუძლიათ ისე დაგეგმონ თავიანთი სერვისები, რომ ბავშვზე ძალადობის რისკი ონლაინ სივრცეში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ამ მიზნით, სახელმწიფომ უნდა დანერგოს მონიტორინგის სისტემა და აამოქმედოს ის კანონმდებლობა, რომელიც ბავშვთა

დაცვას უწყობს ხელს ინტერნეტ სივრცეში. ამავე დროს, სახელმწიფომ უნდა ეფექტურად გამოიძიოს და განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა, რომლის საფუძველზეც გაასამართლებს ვირტუალურ სივრცეში ბავშვთა უფლებების დამრღვევ ნებისმიერ დანაშაულს.

სახელმწიფომ უნდა მოთხოვოს ბიზნეს სექტორს, რომ შეიმუშაოს იმგვარი მომსახურების პირობები, რომელიც ითვალისწინებს ეთიკის, პერსონალური მონაცემების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს ბავშვებთან მიმართებაში. აგრეთვე ბიზნესი ვალდებული უნდა იყოს, რომ გაითვალისწინოს ბავშვთა საუკეთესო ინტერესი და უზრუნველყოს ბავშვებისათვის გასაგები ენით მომსახურების პირობების ახსნა.

კომერციული რეკლამა და მარკეტინგი

ციფრული გარემო მოიცავს იმგვარ ბიზნეს საქმიანობასაც, რომლის ფინანსური შემოსავალი დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასთან, რომლის საფუძველზეც იგი სამიზნედ არჩევს მომხმარებელს და შეიმუშავებს მასზე მორგებულ ონლაინ შინაარსს. ეს მასალა, რა თქმა უნდა ბავშვებსაც ეხება. კერძოდ, შესაძლოა ვირტუალურ სივრცეში შეგროვებულმა მონაცემებმა წარმართონ ბავშვების ქმედებები, რომელიც ამ ბავშვების ინტერესებს არღვევს - მაგ. ამცირებს ან აუარესებს ბავშვების ძილს, ავრცელებს ბავშვის პერსონალურ ინფორმაციას, მისი ლოკაციის თუ გადაადგილების შესახებ ინფორმაციას. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს იმგვარი სარეკლამო პოლიტიკა, რომელიც პირველ რიგში ბავშვების საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებს. სახელმწიფომ უნდა აკრძალოს ისეთი კომერციული საქმიანობა, რომელიც სამიზნედ ბავშვს ამოიღებს ან მისი რომელიმე მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის უკანონო შეგროვებით მიიღებს შემოსავალს. ამგვარი პრაქტიკა, როგორც წესი, გულისხმობს ნეირომარკეტინგს, ემოციურ ანალიტიკას ა.შ.

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა და ბავშვების უფლებების დაცვის საშუალებები

ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ სამართლის პოვნა, როდესაც მათი უფლებები ვირტუალურ სივრცეში ირღვევა. ამას თავისი მიზეზები გააჩნია: როგორც წესი ინტერნეტ სივრცის კანონმდებლობით რეგულირება აგვიანებს თავად ამ სივრცის და ტექნოლოგიის განვითარებასთან შედარებით. გარდა ამისა, ინტერნეტ სივრცეში რთულია დარღვევისა თუ დანაშაულის დაფიქსირება და მტკიცებულებების მოპოვება, რომლითაც ბავშვის უფლებების დარღვევა დადგინდება. უპირველესი

მიზეზი კი ისაა, რომ არც ბავშვებმა და ხშირად არც უფროსებმა არ იციან ბავშვებს რა უფლებები აქვთ ვირტუალურ სივრცეში და რა ფორმით შეიძლება დაირღვეს ეს უფლებები.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინტერნეტ სივრცეში ბავშვთა უფლებების დაცვის სპეციალური მექანიზმების შემუშავება. ბავშვებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ უფასო, კონფიდენციალურ, სწრაფ და ბავშვისადმი მეგობრულ გასაჩივრების მექანიზმზე, სადაც ციფრულ სივრცეში განცდილ ყველა დარღვევას თუ ძალადობას ბავშვი შეატყობინებს. სახელმწიფომ უნდა დანერგოს ისეთი გასაჩივრების მექანიზმიც, რომელიც არ საჭიროებს კონკრეტული ბავშვის იდენტიფიცირებას გასაჩივრების პროცესში, ვინაიდან პრობლემა ყველა ბავშვს ან ბავშვების კონკრეტულ ჯგუფს ეხება, ამგვარ მექანიზმებს **ბავშვთა უფლებების კოლექტიური დაცვის მექანიზმი ან საზოგადოებრივი სამართალწარმოება ეწოდება.**

ვირტუალურ სივრცეში ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში, უფლების დაცვის მექანიზმი აგრეთვე უნდა გულისხმობდეს მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაციის სერვისს და ბავშვზე შემდგომ ზრუნვას, მსხვერპლი ბავშვის სოციალურ რეინტეგრაციას. უფლების დაცვის მექანიზმები ასევე უნდა გულისხმობდეს უფლების აღდგენას, კომპენსაციას და, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო ბოდიშის მოხდას, ინტერნეტიდან უკანონო შინაარსის აღებას და სხვა. ამ მექანიზმებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვების განსაკუთრებული მოწყვლადობა და მაქსიმალური სისწრაფით უნდა მოხდეს ბავშვთა დაცვის ღონისძიებების გატარება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ერთხელ იდენტიფიცირებული დარღვევის განმეორება.

როგორც მიმოვიხილეთ, სახელმწიფოს, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტს თანახმად, საკმაოდ ბევრი ვალდებულება გააჩნია იმისათვის, რომ ინტერნეტში სრულფასოვნად იყოს ბავშვის უფლებები დაცული. ამ ვალდებულებების შესრულება კი გულისხმობს ბავშვებთან, სამოქალაქო სექტორთან, კერძო სექტორთან თანამშრომლობით ბავშვებზე ზრუნვის ბევრად ადრე დაწყებას ვიდრე მათი უფლებები დაირღვევა.

სახელმძღვანელო პრინციპები ციფრულ სივრცეში ბავშვთა უფლებების პატივისცემის, დაცვის და განხორციელებისთვის

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2018 წელს მიიღო ონლაინ სივრცეში ბავშვთა დაცვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: "სახელმძღვანელო პრინციპები

ციფრულ სივრცეში ბავშვთა უფლებების პატივისცემის, დაცვის და განხორციელებისათვის." ეს დოკუმენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტის დამდგენი დოკუმენტია და ხაზს უსვამს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებებს ბავშვთა ონლაინ სივრცეში დაცვის კუთხით[14].

მოკლედ მიმოვიხილოთ სახელმძღვანელო პრინციპებით გადმოცემული სტანდარტები:

ინტერნეტის მისაწვდომობა

ინტერნეტი და ონლაინ შესაძლებლობები ბავშვის ყველა უფლების რეალიზების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იქ, სადაც ბავშვებს შეზღუდული აქვთ ციფრულ სივრცეზე წვდომა, ისინი ვერ შეძლებენ ისარგებლონ ყველა უფლებით (განათლების, მონაწილეობის, სოციალური კავშირების ქონის და სხვა) სრულფასოვნად. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ყველა პირობა, რათა ბავშვებისათვის ციფრულ სივრცეზე წვდომა იყოს შესაძლებელი საგანმანათლებლო თუ სხვა რელევანტური მიზნებით. სახელმწიფომ განსაკუთრებულად ყურადღება უნდა მიაქციოს მოწყვლად სიტუაციაში მცხოვრები ბავშვების (მაგ. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ, საერთაშორისო მიგრაციის და ა.შ.) წვდომას ციფრულ შესაძლებლობებზე. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა მოსთხოვოს ონლაინ სერვისების მიმწოდებლებს, რომ მათ ხელმისაწვდომი გახადონ ონლაინ სივრცე. ამავე დროს, ინტერნეტზე წვდომას თან უნდა ახლდეს ბავშვების უნარების და ციფრული/ინტერნეტ-წიგნიერების გაძლიერება, საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების იმ დამაზიანებელი სოციალური ნორმების აღმფხვრა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბავშვების წვდომას ონლაინ სივრცეზე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ინტერნეტ სერვისების მიღების პირობები იყო ბავშვებისთვის მისაწვდომი, სამართლიანი, გამჭვირვალე და ბავშვისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემული. სახელმწიფომ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს ინტერნეტ სივრცეში ბავშვებისთვის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალების არსებობის ხელშეწყობა. ხოლო

[14] Council of Europe, Sonia Livingstone, Eva Lievens & John Carr, Handbook for policy makers on the rights of the child in the digital environment, to support the implementation of Recommendation CM/Rec(2019)7 of the Committee of Ministers of the Council of Europe on guidelines to respect, protect and fullfil the rights of child in the digital environment, 2020. https://rm.coe.int/handbook-for-policy-makers-on-the-rights-of-the-child-in-the-digital-e/1680a069f8

კომერციულმა ინტერესებმა არ უნდა დააზიანოს ბავშვების ინტერესი, ხელმისაწვდომ ონლაინ სივრცეზე.

ბავშვების გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლება

ინტერნეტ სივრცე ბავშვებს დიდ შესაძლებლობებს აძლევს, მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. სახელმწიფოს, ამ მხრივ, ეკისრება ვალდებულება, დაიცვას ბავშვების ეს თავისუფლება, მიუხედავად იმისა, თავად სახელმწიფო და სხვა პირები, მიიჩნევენ თუ არა ამ მოსაზრებას სწორ მოსაზრებად. ამავე დროს, სახელმწიფოს ვალდებულებაა, საგანმანათლებლო პროცესის საფუძველზე ბავშვებს ასწავლონ თუ როგორ გამოიყენონ ეს თავისუფლება, ისე რომ, პატივი სცენ სხვა ადამიანების უფლებებს და არ შელახონ მათი ღირსება, მათ შორის, თავიანთი თანატოლების. ამგვარმა საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა აუხსნას ბავშვებს თუ რა დროს შეიძლება შეიზღუდოს მათი გამოხატვის თავისუფლება კანონიერად. ამ მიზნით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებისათვის მისაწვდომ, მაღალი ხარისხის ონლაინ მასალების შექმნას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გაიგონ საკუთარი უფლებების შესახებ. კონკრეტულად კი ბავშვებისათვის ადვილად ამოსაცნობი უნდა იყოს ხარისხიანი და მათთვის შექმნილი ინფორმაცია ონლაინ სივრცეში. ნებისმიერი შეზღუდვა ბავშვის უფლებისა, გამოხატოს აზრი და მიიღოს ინფორმაცია ონლაინ სივრცეში, შეიძლება მხოლოდ გამომდინარეობდეს ადამიანის უფლებების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებიდან. ბავშვები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, თუ არსებობს რაიმე შეზღუდვა ინტერნეტ სივრცეში და მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ შეზღუდვის გასაჩივრების საშუალებებიც.

ბავშვების თამაშის, შეკრების და გაერთიანების უფლება

ციფრული გარემო წარმოადგენს ონლაინ კომუნიკაციის საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან, ქმნის სოციალურ კავშირებს. ამ საშუალების ეფექტურად გამოყენებისათვის, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების მონაწილეობის, ინკლუზიის და ციფრული მოქალაქეობის შესაძლებლობების შექმნას. აღიარებს რა ბავშვების უფლებას ჩაერთონ მათი ასაკის და განვითარების დონის შესაფერის თამაშში, სახელმწიფო აგრეთვე კისრულობს ვალდებულებას შექმნას ასეთი თამაშის შესაძლებლობი ციფრულ სფეროში. ეს ვალდებულება აგრეთვე გულისხმობს ამგვარი ციფრული შინაარსის შექმნაში ინვესტირებას, სტანდარტების შემუშავებას და სოციალური, შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სახელოვნებო წრეების, აქტივობების და სერვისების მხარდაჭერას. ამ ფორმით შექმნილი ონლაინ თამაშები, ხელს უნდა

უწყობდეს ბავშვებში შემოქმედებითობის, პრობლემის გადაჭრის თუ გუნდური თამაშების უნარების გაძლიერებას. ამავე დროს, სახელმწიფო უნდა ახდენდეს ბავშვების ინფორმირებას - თუ რა გზით შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ციფრულ და ფიზიკურ ღონისძიებებში. პარალელურად, სახელმწიფო ბავშვებს ხელს უნდა უწყობდეს, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე მიმდინარე დებატებში, რომელიც ეხება საჯარო პოლიტიკას და მართვას. ეს მონაწილეობა კი უნდა გახდეს რეგულარული შესაბამისი სამოქალაქო და სოციალური პლატფორმების შექმნის გზით. ყოველივე ეს ხელს უწყობს ბავშვების დემოკრატიული მოქალაქეობისა და პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების უფლება მონაწილეობა მიიღონ ციფრულ სივრცეში შეკრებასა და გაერთიანებაში, სახელმწიფოს მხრიდან დაცული უნდა იყოს მიყურადებისა და კონტროლისგან მათ შორის, მესამე პირებისგან. ამგვარი კონტროლის განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში კი იგი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ ადამიანის უფლებების სტანდარტს.

პირადი ცხოვრება და მონაცემთა დაცვა

ბავშვებს გააჩნიათ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება როგორც რეალურ, ისე ციფრულ გარემოში. ეს უფლება აგრეთვე მოიცავს მათი მონაცემების დაცვას, კომუნიკაციის და მიმოწერის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რომ სხვადასხვა მმართველობითმა ორგანომ, რომელიც მონაცემებს ამუშავებს, პატივი სცეს ბავშვების პირადი ცხოვრების უფლებას. ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ ბავშვების მშობლები, მომვლელები, კანონიერი წარმომადგენლები და სხვა პირები, რომელთაც ევალებათ ბავშვზე ზრუნვა. ერთის მხრივ, მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ბავშვის ინტერესის დასაცავად, მეორეს მხრივ კი - სახელმწიფომ უნდა უზურნველყოს, რომ ბავშვთან დაკავშირებული მონაცემთა დამუშავება ხდება სამართლიანად, კანონიერად, ზომიერად და უსაფრთხოდ - მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც კანონის და ბავშვის ინტერესს ემსახურება. ამავე დროს, ბავშვები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ამის შესახებ და მონაცემთა დამუშავება ხდებოდეს მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. თუ ბავშვს არ შეუძლია ამგვარი თანხმობის გაცემა, თანხმობა უნდა გაიცეს მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან, რომელიც დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ბავშვთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებისას უნდა მოქმედებდეს მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი, რომლის თანახმად, უნდა დამუშავდეს მხოლოდ ადეკვატური, რელევანტური და იმ რაოდენობის მონაცემი,

რომელიც აუცილებელია, მისი დამუშავების მიზნის მისაღწევად. თუ სახელმწიფო გადაწყვეტს დაადგინოს ბავშვის მინიმალური ასაკი, რომლის შესრულებისას ბავშვმა უნდა გასცეს თანხმობა პირადი მონაცემების დამუშავებაზე, ეს ასაკი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებებს, მოსაზრებებს, საუკეთესო ინტერესს და განვითარებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები ბავშვის შესახებ (მაგ. წარმომავლობასთან დაკავშირებული, ბიომეტრიული და ა.შ.) შეგროვდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონში არსებობს შესაბამისი ჩანაწერი და ბავშვს აქვს დაცვის და გასაჩივრების მექანიზმები. ამავე დროს, ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვები, მათი მშობლები და კანონიერი წარმომადგენლები სრულად ინფორმირებულნი იყვნენ მონაცემების შემგროვებლის მიერ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა ვადით იქნება მათი მონაცემი შეგროვებული, გამოყენებული, შენახული და გამჟღავნებული. ბავშვებს და მათ წარმომადგენლებს უნდა შეეძლოთ:

ა) უკვე გაცემული თანხმობის გაუქმება ინფორმაციის შეგროვების თაობაზე.
ბ) საკუთარ მონაცემებზე წვდომის ქონა.
გ) საკუთარი მონაცემების გასწორების მოთხოვნა.
დ) საკუთარი მონაცემების წაშლის მოთხოვნა.

განათლების უფლება

სახელმწიფოებმა აქტიური ძალისხმევა უნდა გაწიონ ბავშვებისთვის ონლაინ სივრცეში განათლების შესაძლებლობების შექმნაში. ამ მიზნით, მათ მხარი უნდა დაუჭირონ ბავშვების ციფრულ წიგნიერებას, მათ შორის, ციფრული მოქალაქეობისა და ამ კუთხით განათლების მხარდაჭერით. მხარდაჭერა უნდა გამოიხატებოდეს ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ ცოდნის გაზიარებით, მშობლების უნარების და ცნობიერების ამაღლებით, რათა მათ მხარი დაუჭირონ ბავშვებს. ონლაინ სივრცეში განათლება ერთმანეთთან უნდა აკავშირებდეს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას და განსაკუთრებულად მისაწვდომი იყოს იმ ბავშვებისათვის, რომელთათვის განათლების შესაძლებლობები შეზღუდულია სხვადასხვა ფიზიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით. საგანმანათლებლო პროგრამებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ბავშვების მიმართ ბულინგის და სხვა უფლებადარღვევების პრევენციას ონლაინ სივრცეში.

ძალადობისგან დაცვა და უსაფრთხოება

ახალი ტექნოლოგიების განვითარების ტემპის გათვალისწინებით, ბავშვებს აქვთ უფლება და განსაკუთრებული საჭიროება დაცულნი იყვნენ ყველა ფორმის ძალადობისგან, მათ შორის ციფრულ სივრცეში ექსპლუატაციისგან. ინტერნეტ სივრცეში ძალადობის კონკრეტული ფორმები განსაკუთრებულად მძლავრად არსებობს ბავშვების წინააღმდეგ, მათ შორისაა:

- სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა, სექსუალური მიზნით კომუნიკაცია (გრუმინგი), ბავშვების ჩართვა ონლაინ კრიმინალურ აქტივობებში, ბავშვთა ტრეფიკინგი და სხვა.
- ბავშვებისა და ქალების დამამცირებელი და სტერეოტიპული მოსაზრებების ასახვა ონლაინ სივრცეში, ძალადობის და თვითდაზიანების, მათ შორის სუიციდის რეკლამირება. დამამცირებელი, დისკრიმინაციული და რასისტული გამონათქვამების გავრცელება და სხვა.
- ბულინგი, ადევნება და სხვა ფორმის შევიწროება და სექსუალური შინაარსის გამოსახულების უკანონო გავრცელება, ბავშვებზე ზემოქმედება, სიძულვილის ენა, ბავშვების ჩართვა აზარტულ თამაშებში და სხვა.

ამ და სხვა, ინტერნეტისთვის სპეციფიკური ძალადობის ფორმების შეჩერება სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, პრევენციული ზომების დანერგვით უნდა დაიწყოს. მან უნდა შეაფასოს ყველა რისკი, რომელიც არსებობს ბავშვებისათვის ტექნოლოგიების გამოყენებისას და დანერგოს საპასუხო ზომები. სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ბიზნესის მიერ ბავშვთა დაცვის ზომების ინტეგრირებას ონლაინ სივრცეში. აგრეთვე ბავშვები უნდა დაიცვას კომერციული მიზნებით მათთვის შეუსაბამო შეთავაზებებისგან.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მსხვერპლზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომლის უდიდესი პრიორიტეტიც იქნება ბავშვი მსხვერპლების იდენტიფიცირება, დაცვა და სარეაბილიტაციო სერვისების უზრუნველყოფა. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კონტროლი ბავშვთა სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების შექმნაზე და ინტერნეტში განთავსებაზე მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე და შექმნას მონაცემთა ბაზა ამ გამოსახულების სწრაფად იდენტიფიცირების და ინტერნეტიდან მოხსნის მიზნით, აგრეთვე განახორციელოს სხვა რელევანტური ზომები.

უფლების დაცვის მექანიზმების შექმნა

სახელმწიფომ უნდა შექმნას ბავშვებისათვის ონლაინ სივრცეში უფლებების დაცვის ეფექტური საშუალებები, რომელიც გულისხმობს ბავშვისთვის გასაგები ფორმით ინფორმაციის მიწოდებას, ბავშვისთვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას, სასამართლოს მისაწვდომობას და ასევე, არასამართლებრივი მექანიზმების დანერგვას, რომელიც ბავშვებს მაქსიმალურად დაიცავს ზიანისაგან. ხოლო ზიანის არსებობის შემთხვევაში შესთავაზებს კომპენსაციას, უზრუნველყოფს რეაბილიტაციას და სხვა უფლებადაცვით საშუალებებს.

როგორც ზემოგანხილული დოკუმენტები ადასტურებს, სახელმწიფოს ვალდებულება ბავშვთა ონლაინ სივრცეში დაცვის კუთხით მრავალფეროვანია, თუმცა ამ ვალდებულებების ამოქმედება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ინფორმირებულ მოქალაქესთან, ვინც იცის რა მოსთხოვოს სახელმწიფოს, როგორ მიიღოს მონაწილეობა დაცვის პროცესში და გაუწიოს სახელმწიფოს მონიტორინგი ამ ვალდებულებების შესრულების დროს. იმედია წინამდებარე პუბლიკაციამ შეიტანა პატარა წვლილი მოქალაქეების, მათ შორის ბავშვების ინფორმირებაში. თუმცა, ონლაინ ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად უნდა განახლდეს და შეიქმნას ახალი პუბლიკაციები ცოდნის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით.